№ 55
შაბათი, 9 მარტი 1896

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 55
შაბათი, 9 მარტი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

**ივანე, გიორგი და ეგნატე ონისიმეს ძენი იოსელიანნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი მეუღლისას, მეორენი რძლისას **ელისაბედ გიორგის ასულისას** და სთხოვენ მობრძანდნენ გამოსვენებაზე გვამისა საკუთარი სახლიდან, ბაგრატიონის ქუჩაზე. წმინდის გიორგის ეკკლესიაში (ანჩისხატის ქუჩაზე) კვირას, 10 მარტს, დილის 9 საათზე. 1—32—1

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი** აუწყებს თავად აზნაურობას და პატივისმცემელთ განსვენებულის

**იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისას,**

რომ ნეტარ-ხსენებულის მღვდელთ-მთავრის დასაფლავების დღეს, კვირას, 10 მარტს, ანჩისხატის სობოროში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მწყემსთ-მთავრის სულის მოსახსენებლად, დილის 10-ს საათზედ.

**თავადი ბეჟან დავითის ძე წერეთელი და მეუღლე მისი, კნეინა ნინო ალექსანდრეს ასული,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი ასულის **ივლიტას** გარდაცვალებას და სთხოვენ მობძანდენ თ. **მაჩაბლის** სახლში (ოლგას ქუჩა, 40) პანაშვიდზე პარასკევს, მარტის 8-ს საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ შაბათს, მარტის 9 ს დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში ანდერძის ასაგებად და იქიდან რკინის გზის ვოკზალზე. დაასაფლავებენ სოფელ სატივეში, თავ. ბაგრატიონ დავითიშვილების საგვარეულო სასაფლაოზე. (2—30—2)

## დროებითი კომიტეტი

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, უმორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გაჰგზავნონ ხოლმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი)-

შემოწირულებას მიიღებენ აგრეთვე კომიტეტის შემდეგი წევრები: კნ. მ. ა. შარვაშიძისა (ახალი ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). კნ. მ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა (ნიკოლოზის ქ., საკუთარი სახლი), კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისა (განოვის ქ., გურგენოვის სახლი, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისა (ერევნის მოედანი, საკუთარი სახლი), ა. ф. მილიუტინისა, უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი (ერევნის მოედანი, სუმბათაშვილის სახლი), თავ. გ. ი. ორბელიანი (მიხეილის ქუჩა), თავ. დ. ა. გურამიშვილი (კონსულის ქ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (განოვის ქ., 7).

შემომწირველთა გვარი და სახელები გაზეთის საშუალებით იქმნება გამოცხადებული. (7—3).

## ახალი ამბავი

—

*** საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი გუშინ, 8 მარტს, წავიდა ქუთაისს განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

*** ტფილის-თიანეთის გზიდან გასაყვან წილკან-ჟინვალის შტოზე სამუშაოდ სამის მაზრის—ტფილისისა, დუშეთისა და თიანეთის მცხოვრებნი იქმნებიან გაყვანილნიო, სწერს გაზ. „ნოვოე ობოზ."-ე. ამ გზაზედ სამუშაოდ 86 ათასამდე მუშა იქნება გაწვეულიო.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ამ ჟამად იმის გამოკვლევაშია თურმე, რომ ადგილობრივს ნაწარმოებზე ფასი იქმნას შეცვლილი. ეს ტაქსა 1886 წ. იქმნა დამტკიცებული და მას შემდეგ აღარ შეცვლილა. დაუკლებენ თუ არა ტაქსას, ეს ჯერ არავინ იცისო, სწერს იგივე გაზეთი.

*** ამ დღეებში ჩვენს გაზეთში იყო წერილი ბ-ნ მთადიდელისა, რომელიც ეხებოდა ქიზიყში მეცხვარეთა საზოგადოების დაარსებას; ეს წერილი საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას თავის ჟურნალში გადაუბეჭდნია რუსულად და ცდილობს თურმე ხელი მოუმართოს მეცხვარეთა საზოგადოების დროზედ განხორციელებას.

*** გუშინ, 8 მარტს, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ქართველ მოხელეთაგან დეპუტაცია წავიდა ქუთაისს განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დასაფლავებაზე დასასწრებლად.

*** ჩვენ მივიღეთ სახალხო წიგნი, № 8 „შალვას ნანახი ხატი, ამბავი მოხუცის ნათქვამი". პოემა ვაჟა-ფშაველასი. წიგნი პატარა ფორმატისაა, შეიცავს 36 გვერდს და ღირს ერთი შაური.

*** უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს ჩვენ გამოვაცხადოთ საჯაროდ, რომ განყოფილების კასსაში 1896 წ. 1 თებერვლისთვის იყო 35298 მ. 16 კ., თებერვლის განმავლობაში შემოვიდა 5093 მ. 97 კაპ., იმავე თვეში გაიცა 645 მან. 66 კაპ., 1-ლ მარტისათვის დარჩა 39746 მან. 47 კაპ., ამ თანხიდამ არის: 1) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში მიმდინარე ანგარიშზე 7282 მ. 74 კ. 2) იქვე % % ქაღალდებით 31129 მ. 72 კ. 3) იმავე ბანკის შემნახველ კასსაში 1291 მ. 15 კ. და 4) კასსაში ნაღდი ფული 42 მ. 86 კ.

განყოფილების საავადმყოფოში თებერვლის განმავლობაში იყო 351 ახალი ავადმყოფი და ძველ ავადმყოფებთან ერთად 1890 ჯერ მივიდნენ სამკურნალოში; გაკეთებულ იქმნა 28 ოპერაცია, მათგან 12 საავადმყოფოში მწოლიარე ავადმყოფთათვის და 16 გარეშე მოსიარულეთათვის.

*** ჩვენ მოგვივიდა ტფილისში დაბეჭდილი წიგნაკი ფოტოგრაფის ე. კლარასი: „კავკასიის რკინის გზის დაზიანება 1895 წელს". წიგნაკში

## ფელეტონი

### განთიადი.

ღამეა—მყუდრო, დახშული,
ბუნება მიძინებული;
ცის სამყაროში მარტოდენ
ჰბჭუტვენ ვარსკვლავთა კრებული,
გაოცებს არარაობა,
უკუნში დამკვიდრებული.
ყველა მდუმარებს, მხოლოდ ჰკვნესს
სენ-მორეული გლახ გული.

—

უმზერ, გეშინის, გგონია
მიდამო არის მკვდარადა,
ანუ დანთქმული ქვეყანა,
ანუ შექმნილა სალხდა;
გულსა გაწვება ნაღველი,
ჰგლოვობ და სწუხარ მწარადა,
მაგრამ-კი ბნელი ნათელათ
ასე იცვლება მარადა!

—

აგერ აღმოხდა „ვენერა"!
მნათობი ტურფა დიადი,
მაუწყებელი მზის მოსვლის!
ჰხედავთ! ირღვევა წყვდიადი.
ბნელში შუქი გაერია,
ანაზდად იქმნა ციაგი,
იმედით მომცემი კაცთათვის
იშვა უკვე „განთიადი"!

—

ეს ის წამია, როდესაც
სიბნელეს ებრძვის ნათელი,
განდევნოს ბნელი, რომ მზემან
დაანთოს თვისი სანთელი,
რომ ქმნულთა მოსცეს თვის ხვედრი
და გზა ცხოვრების მაჩვენი...
და კაცთ მადლობის შეწირვით
ადიდონ თვისი „გამჩენი"!

—

ეს ის წამია, როდესაც
სულ-განაბული ბუნება
ელის „დიდებულს" მომავალს
და მისს სხივს ელოდინება,
რომ მოსცეს ქვეყნად სიცხოვლე
და მიწას პოხიერება,
და საქართველოს, მით შემკულს,
მოჰფინოს მშვენიერება!

—

ვაკვირდები რა აწმყოსა:
ეს ჩვენი ყოფა-ცხოვრება
თვალთა საჩინოდ ამ ჟამად
„განთიადს" მიეგვანება.
თუმცა-ღა ზლაზვნით, მაინც-კი
ილვიძებს ქართველთ ბუნება,
„უკვდავებისა წყაროსა"
შესასმოდ მიეშურება;
ნორჩი თაობა თვალთ-ახმით
ნათელსა ელამუნება...
ეს სწრაფვა სულით მახარებს
და წყლულს გულს მესალმუნება.

თ. ნიკ. ვეზ—შვილი.

### განძლის შურისძიება

(რუსულიდამ).

შემდეგი *)

IV

ელიზბარი ერთს ბნელსა და ნოტიო საპატიმროში ჩასვეს ციხის ქვეშ სარდაფში. საპატიმროს გზა თხუთმეტის მთლად დახავსებულის საფეხურით იყო ჩასავლელი და ძირს მუდამ წყალი იყო დაგუბებული. ჭუჭყიანსა და შავის ხავსით მოფენილს კედლებზე ბევრი და შავი ნესტის ჰიბი დაცოცავდნენ ერთთავად, ხოლო ძირს იატაკი თაგვების ხვრელებით სავსე იყო. სინათლე მხოლოდ პაწია სანათურიდამ-ღა ჩადიოდა, საიდამაც ადამიანის გადაძვრომა შეუძლებელი იყო. ზევით, ჰერში ამოჭრილი კარები მაგრად დახურული იყო ფიცრებით. ელიზბარმა სიბრაზით აღარ იცოდა რა ექმნა, ლომივით ბღღვრიდა მიწასა, ფეხებს აბარტყუნებდა, კედელს ხელებს ამტვრევდა და რკინის კარებს მძლავრის ხელებით ეზიდებოდა. საშინელის წყევლა-კრულვით იხსენიებდა ყველას, მწარედ გაჰკიოდა, მაგრამ მისი ხმა ცივის კედლების მეტს არავის ესმოდა და მხოლოდ მისი სამარისებური, საშიშარი გამოხმობა აძლევდა ბანს. მაგრამ აგერ გაახსენდა ელიზბარს ის მშვენიერი ქალი, რომელიც შეპყრობის დროს ჰნახა და მისმა ანგელოსებრივმა სილამაზემ და სიწყნარემ გული დაუმშვიდა. ეხლა იგი მაზედ-ღა ფიქრობდა... ბოლოს ძილიც მოეპარა.

ელიზბარი იქვე მიწის იატაკზე წამოწვა, თავით ქვა ამოიდო და სიცივისაგან და ნესტისაგან აკანკალებულმა თვლემა დაიწყო.

სიცივემ ძვალ-რბილში დაურბინა. ელიზბარმა გარდასწყვიტა არ დაეძინა, მაგრამ ამ დროს უცბად იგრძნო, რომ დასთბა, თითქოს თბილი ნაბადი, ან ტყავი დაჰხურესო.

პატარა სანათურიდამ მთვარის შუქს მთელი საპატიმრო ოთახი გაენათებინა; ელიზბარს ეგონა სინათლე მარტო სარკმელიდამ-კი არა, კედლებიდამაც-კი შემოდიოდა, ტანში უვლიდა და სულსაც-კი სწვდებოდა. ასეთი საკვირველება მას მისს დღეში არ ენახა.

დიდს ნიშში, რომელიც კარების პირდაპირ იყო გამოჭრილი კედელში, მაღალ-მაღალი ბერი იდგა ანაფორითა და აბჯრით. აბჯარს ერთთავად ელარუნი გაჰქონდა და თეთრსა და ალისფერს სინათლეს აკრთობდა.. ანაფორას ორი ფერი დაჰკრავდა: სარტყლამდე თოვლივით თეთრი, ხოლო ქვევით შავი, ვით კუპრი.

თუმცა ბერს წვერი მთლად გასჭაღარავებოდა, მაგრამ ელიზბარმა მალე იცნო ძმა ვასილი; ელიზბარს სრულიადაც არ შეჰშინებია, თუმცა საზოგადოდ საფლავით მკვდრების მოვლენა ყველას შიშის ზარსა სცემს.

ბერმა ალერსით შეჰხედა პატიმარს და დაბალის, მაგრამ დიდებულის ხმით გამოელაპარაკა:

— გამარჯობა, ელიზბარ! არ შეგეშინდეს!

— გაგიმარჯვოს, ბიძიავ! არ მეშინიან... რისთვის მოსულხარ, ნეტავი, ჩემთან?...

— უფალმა მიბრძანა პატიმართათვის დამეხედნა: და აი, მეც მოველ შენთან, რომ იმ ქვეყნიური კურთხევა მოგივლინო, თუ რომ მიიღებ... მოგილოცავ ქრისტეს დღესასწაულს, ელიზბარ!

— მეც მოგილოცავ! მაინც რისთვის მოხვედი?

— მისთვის, შვილო, რომ გული დაგიმშვიდო! დეე, ისეთივე მშვიდობა და სიწყნარე მოეცეს შენს სულს, როგორიც ამ ციხის გარშემოა ამ ჟამად... ო, ელიზბარ! აბა შემოჰხედე ჩემს ტანთ-საცმელს. ხომ ჰხედავ?.. ნახევარზე თეთრია, ნახევარზე-კი შავი... შავი ლაქები ჩემის ცოდვების ნიშანია. ამათში-კი ყველაზე უმძიმესი ის არის, რომ თავი ღვთის სამსახურადა მქონდა გადადებული და მახვილი ავიღე ხელთ, კაცის სისხლი დავღვარე; მერე რისთვის? ჩვენის ფუჭად წარმავალ ქვეყნიურ სიმდიდრისათვის... და ეს აბჯარი, რომელიც ერთ თავად წკრიალებს და მწვავს სისხლით, რომელიც მე დავანთხიე, მაგონებს, თუ რამდენ გზის კიდევ უნდა დავაშოშმინო ქვეყნად მცხოვრებთა რისხვა, რათა მით მეც მოტევება მეღირსოს და სასუფეველი და მშვიდობა დავიმკვიდრო... ელიზბარ! თუ რომ მე არ გებრალები, შეიბრალე თავი თვისი, დაუტევე შური და მტრობა და

*) იხ. „ივერია" № 54.

აწერილია ავტორის მოგზაურობა რკინის გზის დაზიანებულ ადგილებში და ჩართული აქვს ფოტოგრაფიული სურათები ამ ადგილებისა. ფასი წიგნაკისა აბაზია.

*** ბორჩალოს მაზრაში, წალკაში, ს. გუნია-ქალას სამეურნეო სკოლის გახსნა გარდაუწყვეტიათ. ამ სკოლასთან, როგორც „კავკასიის სამ. გაზეთს“ ატყობინებენ, ფერმა იქმნება დაარსებული რძისა, კარაქისა, ყველისა და სხვ. სკოლისა და ფერმის განაჩენზე 42 სოფელს მოუწერია ხელი, 2,600 კომლამდე.

*** თებერვლის 15-ს, ორხევის სადგურსა და ტფილისს შუა, კახეთის გზაზე, ღამის 12 საათზე გაძარცვეს გომბორელი მცხოვრებელნი, რომელნიც ტფილისიდამ დაბრუნებულნი შინ მიდიოდნენ. იმავ ღამეს 2 საათზე იმავ ადგილას გაცარცვეს გომბრიდამ მომავალი ოთხი კაცი და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გაცარცვეს ტფილისიდამ მიმავალი ორხევის სადგურის სტაროსტა და ორი „იამშჩიკი“. ავაზაკნი იმის შემდეგ გამგზავრებულიყვნენ ცხენებით მდ. მტკვრისაკენ.

ერთ-ერთი გაძარცული გამოქცეულიყო იმ ღამესვე და მივარდნილა სამაზრო სამმართველოში მიხეილის ქუჩაზედ და ყოველივე ამბავი გამოეცხადებინა აქაურის პოსტის ურიადნიკისათვის. ამასაც დაუყოვნებლივ შეეტყობინებინა დისტანციის უფროსის კ. ცომაიასათვის, რომელსაც ორი ურიადნიკი — მ. ჯოხაძე და ა. ქალანთაროვი და რამდენიმე ჩაფრები საჩქაროდ წაესხა იმ ადგილას, სადაც ზემო-აღნიშნული ამბავი მოხდა და გათენებისას აქედამ კვალი აელოთ და წასულიყვნენ ორხევის ურიადნიკისა და ჩაფრების შემწეობით ავაზაკთა საძებნელად· კვალ-და-კვალ მისულიყვნენ მტკვარზედ, მერე წყალში ყოჩაღად ჩავარდნილიყვნენ და წყალს გაღმაც კვალი აელოთ.

ამ რიგად მიადგნენ სოფ. სოღანლუხის მეცხვარეების ბინებს; კვალი დაიკარგა—აქაურის ცხვრის პატრონის ალი ყაღრამან-ოღლის იათაღთან. გახჩხრიკეს იათაღი, მაგამ ვერა იპოვეს რა ნაძარცვი, ალი-ყაღრამან-ოღლი-კი იქვე ნახეს მძინარე. ეს ალია და იმისი ოთხი მწყემსი დაატუსაღეს და ჩამოიყვანეს ქალაქში.

ისიც შეიტყეს, რომ ყაჩაღებში ორი ბორჩალოელი თათარიც ყოფილა, ორი ძმა ბაირამოები, რომელნიც აგრეთვე დაიჭირეს და ჩამოიყვანეს. ყველა ესენი აჩვენეს გაძარცულებს და ამათ იცნეს თავიანთ გამძარცველები.

ტფილისის სამაზრო ადმინისტრაციამ ის თათრები, რომელნიც იცნეს გაძარცულებმა, შეიპყრო და ციხეში გაგზავნა, საქმე-კი გამომძიებელს გადასცა.

აი ასეთი კარგი ბოლო აქვს მარჯვედ და ყოჩაღად მოკიდებულს საქმეს.

*** ს· ჩოხატაური: აქეთ ყვავილი საშინლად მძვინვარებს; თითქმის ნახევარზე მეტს მცხოვრებლებს სახლში ყვავილი უდგათ, მაგრამ მშველელი არც თუ ვინმეა და არც თვითონ აქაურები ენდობიან ამ შემთხვევაში ექიმებს.

თოვლი მალე დნება. წყლები თანდათან მატულობენ.

*** ზემო-თიანეთი: 24 თებერვალს აქ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მრავალი ხალხი და აგრეთვე თიანეთის მეორე განყოფილების ბოქაულიც თავ. ვახტანგ ბარათაშვილი.

## კორესპონდენცია.

**ს. მარტვილი.** (სენაკის მაზრა). ამ წელიწადმა მარტვილელებს ერთი სასიხარულო და სასარგებლო საქმე მოგვიტანა და დიდის ხნის სურვილი შეგვისრულა: წარსულს იანვარს საბოლოოდ გარდასწყდა ბედი ქართულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი, რომლის შესახებ კარგა ხანია აღძრულ იყო კითხვა და მის განხორციელებას დღემდის ხელს უშლიდა სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის ნამდვილის საქმისადმი გულშემატკივარის კაცის უყოლობა, რომელსაც შესძლებოდა და თავს ედვა მეთაურობა ამ საქმისა. დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ, თანაგრძნობა ამ საქმისა გამოუცხადა პატივცემულმა ლიუბოვ გიორგის ასულმა გაწერელიასამ და ამის მოწოდებით სამკითხველოს დაარსება სცნეს-რა აუცილებელ საჭიროებად, იგი ერთ ხმად ამოირჩიეს ამ საქმის გამგედ; ამ პატივცემულმა მანდილოსანმა საკმაოდ ბევრი შესწირა საჭირო ნივთნი სამკითხველოს და ზედ დაურთო მეთაურობა, წინამძღომლობა ამ საქმეში. ნებართვაც უკვე გამოიტანა გუბერნატორისაგან ამა მდგომარე წლის 19 თებერვალს, რისთვისაც განუსაზღვრელ მადლობას ვსწირავთ ქ. ლიუბოვ გაწერელიასას და ვინატრით საქმე კარგად წაეყვანოს.

ამასთანავე დიდს მადლობას ვუცხადებთ „მეურნის“ გაზეთის რედაქტორს, ბ. ილია ჭყონიას და ფოთის ქალაქის მცხოვრებს მიტროფანე ივანეს ძეს გეგეჭკორს, რომელთაც ამა წლის განმავლობაში პირველმა მუქთად დაუთმო სამკითხველოს თავისი გამოცემა „მეურნე“, ხოლო უკანასკნელმა თვისის საფასით გაზეთი „კვალი“ გამოუწერა. აგრეთვე დიდათ გმადლობთ ყველა დამხმარე პირთ, რომელთაც ხსენებულს სამკითხველოს დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს.

იმ ცოტა-ოდენი საშუალებით, რომელიც დღეს ხელთა გვაქვს, განვიზრახეთ გამოვიწეროთ რამოდენიმე ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთი და ვსთხოვოთ ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს ამისთანა კეთილს საქმეს, შეძლებისა და გვარად შემწეობა აღმოუჩინოს, თუ წიგნებითა და თუ სხვა შემოწირულებით; დარწმუნებულნი ვართ მოგვეხმარებიან, რადგან ჩვენ, მეგრელებს, ასეთს საქმეში, როგორც ქართულის ენის მტკიცედ შენახვაა განსაკუთრებული ყურადღება გვჭირია რედაქციებისა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, წიგნების გამომცემელ ამხანაგობათა და საზოგადოდ საქართველოს ყველა შვილთაგან.

გ—გი გ—ი.

5 მარტს, 1896 წ.
სოფელი მარტვილი.

## უცხოეთი

**იტალია.** იტალიაში საზოგადოება იმ აზრის არის, რომ საჭიროა აბაშეთიდამ ჯარების გამოყვანა. მაგრამ უმეტესობას-კი სურს მასსოვა და მის მახლობლად მდებარე ადგილები მაინც დარჩეს იტალიას. ერთ იტალიელს უთქვამს „ტაიმსის“ კორესპონდენტისთვის საფრანგეთი ბარ-ელ-გაზელშია, ინგლისი უგანდაში, კონგოს სახელმწიფო თავის საზღვრებს აფართოებს და იქითკენვე მიიწევს, გერმანელები სუდანს უახლოვდებიან. რუსეთი დაჰპირდა აბაშელებს სარწმუნოებრივ მფარველობას და, რასაკვირველია, ინტერესი აქვს სუდანში. ასე რომ მალე მთელი ევროპის სახელმწიფოები ნილოსის სათავეში, სუდანის საზღვარზე, შეიყრება. ამიტომ იტალიაც იქ უნდა იქმნეს. იტალიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა უკუ აგდონ უსარგებლო აზრი ნეგუსის დამარცხებისა, მისი დასჯისა, და უნდა ეცადონ სუდანის კარებთან ახლოს იყვნენ. იტალიელებმა უნდა ზღვის ნაპირებზედ უცადონ დროსა და გარემოებას.

„დაილუ ხრონიკლი“ ძალიან სიმპატიით ეკიდება ახალ სამინისტროს იტალიისას და ხედავს მასში მშვიდობიანობის საფუძველს. გაზეთი ფიქრობს, რომ ჯარი თავის ნებით აღარ წავა მასსოვაში, თუ ძალით არ წაიყვანესო.

„სტანდარტი“ ამბობს, რომ სამთა კავშირის დღე დათვლილია და სულ ერთია განაგრძობენ აფრიკაში ომს თუ არაო.

რასაკვირველია, ყოველ ინგლისელს დიდადა სწყინსო იტალიის დამარცხება, რადგან ინგლისისათვის არ არის სასიამოვნო, რომ იტალია მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ შეიქმნესო. მაგრამ თუ იტალიამ ომის გაგრძელება მოისურვა, ერიტრეის კოლონია მისთვის თავში საცემი გახდება, რადგან ყოველთვის საშიშარ მდგომარეობაში იქნება იტალია, მუდამ დიდი ხარჯი დასჭირდება და მაშინ მასთან კავშირიც არავისთვის არავითარი სასარგებლო არ იქნებაო.

— იტალიის ახალი სიმინისტროს შედგენა მეტად გაძნელდა, რადგან მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა აბაშელებს უნდა გადავუხადოთ ადუარში ჩვენი დამარცხებაო. მაგრამ, როგორც ვიცით, ომის გასაგრძობად იმდენი ჯარი იყო საჭირო და იმდენი ხარჯი, რაც შეუძლებელად ხდიდა ამას. მერე კიდევ ვინ იცის, რომ მაინცა და მაინც იტალია გაიმარჯვებდა ხელ-ახალ ომში და არა აბაშეთი. შეიძლება მეორე დამარცხება ბევრად უარესიც ყოფილიყო პირველზედ. ყოველივე ამის მიზეზით მეფე დასთანხმდა

---

ბედნიერი იქმნები. მე კარგად ვუწყი შენის გულის თქმა და ისიც, თუ რა შეგემთხვევა. გახსოვდეს, რომ შურისძიებას სამაგიეროს მიეწყვის და დაისჯები მით, რაიცა უძვირფასესი იქმნება შენთვის.

ელიზბარს აღარა უთქვამს-რა.

— როგორ, ხმას არ იღებ? ნუ-თუ ვერ დაგარწმუნე... მაგრამ, ვიცი შენი ხასიათი...

ბერმა მწარედ ამოიოხრა და მისმა აბჯარმა ელვასავით გაანათა იქაურობა, თითქოს ცეცხლის ალი დატრიალდაო.

— ახლა გვიან-ღაა... დროა წავიდე.., ეს უკანასკნელი თხოვნა მაინც შემისრულე... ამ წამას აქ მოვა ერთი ქალი და გაგანთავისუფლებს; მომეც სიტყვა, რომ ხმას არ გასცემ და პირბადს არ აჰხდი...

ელიზბარმა სიტყვა მისცა. ბერი უცბად გაშავდა, მიილულა, გაჰქრა; ამ დროს ჭერის დახურული კარები გაიღო და ვიღასიც თოვლივით თეთრი ხელი გამოჩნდა; უცნობს ხელთ ჰრაქი ეჭირა; ჰრაქმა მკრთალი ნათელი მოჰფინა იატაკს.

### V.

ელიზბარი წამოხტა და თვალები მოისრისა. „იქნება მომელანდა?“ — ფიქრობდა იგი.

მაგრამ არა; საიდუმლო კარები ისევ ღია იყო და ვიღაცა ლამპარს ანათებდა.

— ვინა ხარ? — დაეკითხა პატიმარი.

— ეს მე ვარ... გაისმა ნაზი და წყნარი ხმა; მოვედი დაგიხსნა... ეჩქარე, მშვენიერო ახალგაზრდავ!.. თორემ თუ შევვგნიშნეს ხსნა აღარ გექნება... აღმოსავლეთი უკვე ნათდება... დროა გაიქცე... შენი იარაღითან მოგიტანე და გალავანთან ცხენი მიგელის.., ამ სიტყვებთან უცნობმა თოკი ჩაუშვა საპატიმროში. ელიზბარმა ქამარი მაგრად შემოიჭირა, თმები გაისწორა და კატასავით აცოცდა თოკზე. უცნობმა თავისის ნაზისა და მთრთოლვარე ხელით ელიზბარი ფეხზე წამოაყენა და ზურგი შეაქცია. ძირს, იატაკზე, იდგა ლამპარი, რომლის მოციმციმე შუქიც უცნობის თხელს აბრეშუმის შალზედ მომხიბლველად ლივლივებდა. ელიზბარის წინ მაღალისა და ალვისხესავით მოყვანილის ტანის ქალი იდგა.

ქალს მხოლოდ თვალები უჩანდა; მათში ნათლად იხატებოდა მისი სინაზე და ის სიბრალული, რომელიც სიყვარულს თავგანწირულებამდე აღემაღლებინა; გული ხშირად და ძლიერად უცემდა.

— ვინ ხარ შენ, ჩემო მხსნელო, ან რამ გაიძულა გაგენთავისუფლებინე, — დაეკითხა ელიზბარი?

ქალი ხმას არ იღებდა. გაისმა მხოლოდ ჩუმი ამოოხვრა, თითქოს ნიავი ოდნავ შეეხო ნაზს ყვავილსაო...

ელიზბარი კიდევ დაეკითხა.

— განა შენთვის ორივ ერთი არ არის, ვინც უნდა ვიყო, — ქალი თუ კაცი, — უპასუხა ქალმა. გარეულის ფრინველის გალიაში ყოფნა შეუძლებელია: იდარდებს, დაჭლექდება და მოკვდება... ამ ჟამად-კი შენ, კეთილშობილო ჭაბუკო, თავისუფლად და ელვასავით გაეშურები მთებისკენ; აქ-კი მხოლოდ ხსოვნა-ღა დაჰრჩება მას, ვისაც უყვარდი... დაგიხსენ მისთვის, რომ... და ხმა ჩაუწყდა.

— არა, არ წავალ, ვინემ არ შევიტყობ ვინა ხარ... სახე დამანახვე... მე მხოლოდ იმისგან მივიღებ ხსნას, ვინ მიყვარს...

— როგორ! შენ გიყვარს კიდეც?.. მერე ვინ არის ეგ ბედნიერი?.. და მისმა თეთრმა შალმა ამ სიტყვების თქმაზედ ოდნავ შეითამაშა.

ელიზბარს მაცდური შეუჯდა; ეს იყო ღამის მოჩვენება; თავი ვეღარ შეიმაგრა და ქალს პირბადე გარდაჰხადა. „აა, შენა ხარ, ჩემო ღმერთო! — შესძახა ელიზბარმა, იცნო-რა შეყვარებული. — აი ის, ვინც მიყვარს“!..

ერთმანეთს ჩაკონილნი ელიზბარი და ნინო ჰგრძნობდნენ, როგორ აჩქარებულად უცემდათ გული, როგორ ტკბილად და ბედნიერად ჰგრძნობდნენ თავს, როდესაც ნეტარების კოცნით თითქოს ერთმანეთს შეუერთდნენ.

განთიადი სირცხვილისაგან მთლად მიილია, ხოლო დარბაისელი და მუდამ თოვლით დაფარული ყაზბეგი ღრუბლებში მიიმალა და მზეს წინ აეფარა, რომ თავისუფლად დამტკბარიყვნენ ეს ბედნიერნი. ელიზბარს პირობა სრულიად დაავიწყდა. მაცდური მხარში ამოსჯდომოდა და ნინოც ამ ნეტარებას ემორჩილებოდა....

მაგრამ დრო იყო ერთმანეთს განშორებოდნენ. შეყვარებულთ პირობა დასდვეს სად და როგორ ენახათ ერთმანეთი და ციხიდამ ფეხაკრებით გამოვიდნენ. ელიზბარი ცხენს მოახტა და გაჰქუსლა.

### VI.

როგორც იყო გაბედეს და შიშითა და ძრწოლით მოახსენეს შანშეს ტუსაღის გაქცევა. თავადის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა: იწყევლებოდა, ილანძღებოდა, იმუქრებოდა, მოსამსახურეებს მთლად ტყავი გააძრო, დაუდევარი დარაჯნი ციხეში ჩაჰყარა, ხოლო მეჯინიბეს, რომელიც მისს საყვარელს ცხენს უვლიდა, თავი შუაზე გაუპო. რამდენჯერმე მთაშიაც გაგზავნეს მდევარი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ; ხან საზარელი ქარი ჰქროდა და გზასა ჰნამქრავდა, ხან მთის მდინარე მოზღვავდებოდა და არე-მარე მთლად თან მიჰქონდა. ბოლოს, უცბად, ერთს ადგილას კლდე მოზვავდა, ელვასავით წამოვიდა და რვა ყმა ერთად მოუკლა. ეს მთის სული იყო, — მოხუცი გუდა ელიზბარის მდევარსა და მისს სიყვარულს თავზე სიცილს აყრიდა... ელიზბარი-კი ამ დროს თავისთვის მშვიდობიანად სცხოვრობდა მთაში და ნინოს ერთს ტყეში ინახულებდა ხოლმე ხეობაში, სადაც იგი თავისის გამდლით მიდიოდა ხოლმე. ერთადერთი გამდელი იყო ნინოს ბედნიერებისა და უბედურების მცოდნე, მხოლოდ მან იცოდა ქალბატონის ყოველი საიდუმლო.

მაგრამ ნახვითაც ძალიან იშვიათად ინახულებდნენ ხოლმე ერთმანეთს, რადგანაც ნინოს ათასი თვალის მადევნებელი ჰყავნდა.

ელიზბარი-კი დროს ერთთავად მთაში ატარებდა, თავისსავე გვარ მონადირეთა შორის, რომლებიც მუსლიმანებთან საბრძოლველად იწვევდნენ ხოლმე მას; უიმისოდ-კი სულ შინ იყო. მართალია ეხლა ელიზბარს სიყვარული შეეპარა, მაგრამ ეს მაინც ვერ ავიწყებდა ძველს სიძულვილს, შურისძიების წყურვილს და დღითიდღე უფრო და უფრო უძლიერდებოდა იგი. ბევრჯელ, წყნარსა და მშვიდს ღამეში, როდესაც თავისს ქოხში, ან სადმე კლდეზე ცეცხლს გააჩენდა, მას ღამის ჩრდილზე, რომელიც მახლობლად მდგომ ხეებიდამ აღიბეჭდებოდა ხოლმე, ან კიდევ აქაფებულს მთის მდინარეში — წარმოუდგებოდა თვალ-წინ განსვენებულის ძმის ჭაღარა წვერი და მისი დალონებული, მწუხარე თვალები...

ხშირად, როდესაც ნადირს შორს გამოეკიდებოდა ხოლმე და თვალუწვდენს მთას წვერზედ მოქცეოდა, სადაც ყინულის ღრუბლებთან ერთად ქვეყანას თავზედ დასცქეროდა და მშრალს თოვლს მის ფეხ ქვეშ ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა ხოლმე, ელიზბარს თითქოს ესმოდა ძმის აბ-

ეგრეთ წოდებულს „ძალებთა ერთ ადგილს შემოკრების“ პოლიტიკას. გენ. ბალდისერა გამაგრდება ასმარაში, კერენში და მასსოვაში; იქ შემოიკრებს მთელს ჯარს და მოგერებითი პოლიტიკას დაადგება. ამ შემთხვევაში საჭირო აღარ იქმნება ახალი ჯარების გაგზავნა. ამ დროს მენელიკთან მოლაპარაკება ექმნებათ ზავის შესახებ. „ტანი“ ამბობს, რომ როგორც გავიგეთ მენელიკის მეგობარი ილგისაგან, მენელიკი დიდის სიამოვნებით დასთანხმდება ზავზედაო. თუმცა ევროპაში მენელიკი ბარბაროსად მიაჩნიათ, მაგრამ მეტად სძაგს სისხლის ღვრა და დიდად სამწუხაროდაც ქონდა საქრისტიანო ერთის წინააღმდეგ ომიო. ის იმდენზედ ერთგულია სარწმუნოებისა, რომ თავის დღეში არ შეთანხმებია დერვიშებს.

**საფრანგეთი.** სენატსა და პარლამენტის შორის შეტაკება ძლივს გათავდა, მაგრამ სამინისტროს მაინც მოსვენება არა აქვს. ეხლა პარლამენტის კომისსიებსა და სამინისტროს შორის ჩამოვარდა უთანხმოება. საბიუჯეტო კომისსიამ, როგორც იცით, უარი სთქვა გარდასახადის ახალს პროექტზე, რომელიც შემუშავებულია ფინანსთა მინისტრის დუმესაგან. ამ კომისსიამ წინადადება მისცა სამინისტროს პროექტი უკან წაიღე და ახალი შეიმუშავეთო. დუმემ დიდი წინააღმდეგობა განუცხადა და სთქვა პროექტის წვრილმანის შეცვლაზედ თანახმა ვარ, ხოლო ამას მაშინ ვიზამ, თუ იმ სტატიებზედ თანხმობას განაცხადებთ, რომელნიც შემოსავალის კვალობაზედ დაწესებულის გარდასახადის პრინციპებს ეხებოდაო. დუმემ სთქვა, მე დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტის უმეტესობა პროექტის მომხრეაო; ამის შემდეგ კომისსიამ მიიღო ის აზრი, რომელიც დელომბრმა გამოსთქვა, ე. ი. სამინისტროს პროექტი განკიცხა.

ხოლო სამხედრო მინისტრს კავენიაკს შეტაკება მოუხდა პარლამენტის სამხედრო კომისსიასთან. კავენიაკს უნდოდა იმ კორპუსის შეცვლა, რომელიც არჟირიაში ჰყავს საფრანგეთს, იმას უნდოდა ამ კორპუსის მაგიერ კოლონიის ჯარი შეედგინა, მაგრამ კომისსია წინააღმდეგი გაუხდა. კომისსიამ სთქვა, რომ ეს კორპუსი მიუცილებელია აფრიკაში, რადგანაც იქ ყოველთვის მოსალოდნელია აჯანყება. კომისსის აზრს დაეთანხმა უმაღლესი სამხედრო საბჭოც. როცა კავენიაკს დაეკითხა კომისსია, გვითხარი სამხედრო საბჭო რა აზრის არისო, მინისტრმა უპასუხა: მე ვმოქმედობ როგორც მინისტრი და პასუხის მგებელი ვარ მხოლოდ პარლამენტის წინაშე. მოვალე ვარ მხოლოდ ჩემი აზრი შეგატყობინოთ თქვენ. კომისიამ რამდენჯერმე სთხოვა მინისტრს და თავის თამჯდომარეც გაუგზავნა წაიღე პროექტიო, მაგრამ სამხედრო მინისტრი არაფრისთვის არ დასთანხმდა. კომისიამ პროექტი უარ-ჰყო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

„მატენ“-ში დასტამბული ყოფილა მენელიკის წერილი ერთ პირთან, რომელსაც რედაქცია კარგად იცნობს. ეს წერილი დაუწერია მენელიკს 12 იანვარს სანამ მაკალეს ციხე-სიმაგრეს დაატოვებინებდა იტალიელებს:

მზადა ვარ, „სწერს მენელიკი, იტალიასთან მოლაპარაკება გავმართო, მაგრამ ის პირობა-კი უნდა მომცე, რომ ამ ჩემი მოქმედებიდამ იმ დასკვნას არ გამოიყვანენ ვითომ ვისიმე მეშინოდეს. სრულს თანხმობას ვაცხადებ ზავის შეკვრაზედ, იმიტომ რომ ეს მიუცილებელი მგონია, და არა იმიტომ, რომ მეშინია. წმიდა სამების მადლითა და წყალობით ჩვენ არა გვიშავს-რა, რადგანაც გვრწამს რომ, სამართლიან გზაზედ ვდგივართ და ეს რწმუნება ძალს გვიორკეცებს და უძლეველადა გვხდის. მე მზადა ვარ ყოველგვარი მსხვერპლი შევსწირო, თუ ეს ჩემი სახელმწიფოს სახელის ჩირქის მომცხებელი არ იქმნება, ოღონდ-კი ჩემს ხალხს მშვიდობიანობა დაუმყარო და ქრისტიან-ერის სისხლის ღვრა მოვსპო. როცა-კი შემთხვევა მოგეცეს, დაარწმუნე ყველა ევროპაში, რომ მე არა ვარ არც ქვეყნის დაპყრობით გატაცებული და არც სხვისი საქონელის მოშურნე. თუ რომ მახვილს ხელი მოვჰკიდე, თუ მე მთელი ჩემი ხალხი მოვიწვიე საომრად, როცა სხვა აღარა გამეწყობოდა-რა, იმიტომ მოვიქეცი, რომ მინდოდა ჩემი სამშობლოს დამოუკიდებულობის დაცვა. ეს ქვეყანა ღმერთმა ჩააბარა ჩემს დიდებულს წინაპრებს და მათგან მე მაქვს ნანდერძევი მისი დაფარვა მტრებისაგან.“

ევროპიელებს რომ ჰკითხო, ყოველი ქვეყნის მკვიდრი, გარდა ევროპისა, ველური ხალხია. ამაში სჩანს გავლენა ძველის საბერძნეთისა, რომელიც ყოველ ხალხს ბარბაროსს უძახდა, გარდა თავისი მკვიდრისას, მაგრამ როცა ამ წერილს ვკითხულობთ გაკვირვებული ვართ და შეგვიძლია ვსთქვათ, რომ შეიძლება ძვირად რომელიმე ევროპიელ სახელმწიფოს მმართველი იყოს აღსავსე ასეთის ადამიანურის აზრებით.

## მარკიზი რუდინი.

იტალიის ახალის კაბინეტის მოთავე, გრაფი სტარრაბა მარკიზი რუდინი, 1839 წელს დაიბადა პალერმოში. რუდინი იურისტია და თავისი სამსახურში წინსვლა ადმინისტრატიულ მოღვაწეობით დაუწყია. რუდინის სიცილიასა და პიემონტში დიდი მამულები აქვს. 1869 წელს იგი რამდენისამე თვით შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას ასრულებდა მენაბრეას კაბინეტში. 1891 წელს, როდესაც კრისპი დაემხო, რუდინი კაბინეტის მოთავედ და გარეშე საქმეთა მინისტრად იყო. ამ დროს მან კვლავ აღადგინა სამთა კავშირის ხელ-შეკრულობა და გერმანიასა, ავსტრო-უნგრეთთანა და შვეიცარიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობა შეჰკრა. 1892 წ. მაისში რუდინიმ პარლამენტს მოსთხოვა ნება განზრახული რეფორმა შეეტანა მართვა-გამგეობაში, მაგრამ რადგანაც უარი მიიღო, თავისი ადგილი ახალს სამინისტროს დაუთმო. თუ რომ ამ ჟამად კაბინეტის შედგენა პირ-და-პირ რუდინის არ მიანდეს, არამედ რიკოტტის, ეს გარემოება მხოლოდ იმითი აიხსნება, თუ რუდინიმ რა ადგილი დაიჭირა პარლამენტში. პარლამენტის მემარჯვენეთა მოთავე რუდინი, კრისპის მოწინააღმდეგე, მეფის აზრით მაინც შეუძლებელი იყო კრისპის მემკვიდრე გამხდარიყო, მით უფრო, რომ რუდინი ყველაზე მეტად ჰკიცხავდა კრისპის პოლიტიკას აფრიკის შესახებ. ამ სამის თვის წინად რუდინიმ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა პალატაში. რუდინიმ სთქვა მაშინ, რომ საახალშენო მხედრობის შედგენა, ინგლისთან პირობის შეკვრა და შეთანხმება, გამიჯვნის განხორციელება და აგრეთვე კანონმდებლობითი და ეკონომიური ორგანიზაცია ერიტრეისა, —ყველა ეს მეკუთვნისო და კრისპიმ კი მხოლოდ სხვა-და-სხვა მოულოდნელ შემთხვევათა პოლიტიკა დაისაკუთრაო. კრისპის პოლიტიკას აფრიკის შესახებ რუდინი მუდამ უსაფუძვლოდ და შეუფერებლად სთვლიდა, რადგანაც იტალიას იმდენი ფინანსიური ძალა არ შესწევდა; იგი მუდამ ჰკიცხავდა ახალშენთა გაფართოვების სურვილს და კრისპის დაჟინებით ლაპარაკს, რომ ომი აბესსინელებმა გამოიწვიეს და საზღვრების წინ წაწევა უთუოდ საჭიროა, რომ იტალიის ახალშენი უკეთესად დავიფაროთო, სოფიზმადა სთვლიდა: „თქვენ იტალიაზე ძალა იხმარეთო, —ეუბნებოდა კრისპის რუდინი. —თქვენ გსურთ შოა დაიპყრათ; ეს თქვენის აზრით აუცილებლივ საჭიროა. მაგრამ არ გსურთ გამოსტყდეთ, რომ ეს გეგმა რაღაც შეუძლებელი რამ არის. მაინც, თუნდაც ასე შორს არ წასულიყავით, თქვენს პოლიტიკას უგუნურებადა ვსთვლი. როგორ გსურთ ამ ქვეყნის მოწყობა? საიდამ იშოვნით საჭირო ფულს? ის საშუალებანი, რომლებსაც თქვენ ასახელებთ, საკმაო არ იქმნებიან. აფრიკის საქმე ჩემთვის ბნელით არის მოცული და ამიტომ მე მთავრობის გარდაწყვეტილების წინააღმდეგი ვარ.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— რამდენი სული ადამიანი სცხოვრებს მთელს დედა-მიწაზე, ძალიან ძნელია ზედმიწევნით ამისი გამორკვევა. სტატისტიკას ეძნელება ამ რიცხვის გადაწყვეტილად თქმა. ამისდა მიუხედავად, 1874 წ. მსწავლულებს ბემს და ვაგნერს უანგარიშნიათ და გამოუყვანიათ, რომ მთელს დედა-მიწაზე 1,391 მილლიონი სული სცხოვრებსო. 1878 წ. სხვა მსწავლულს ლევასსერს ეს რიცხვი გამოუყვანია 1439 მილლიონი. დღეს ამას ამბობენ, რომ ეხლა მთელს დედა-მიწაზე 1,480 მილლიონი ადამიანი მკვიდრობსო. აქედამ აზიაშია თურმე 825,954,000 სული, ევროპაში—357,379,000, აფრიკაში—163,953,000, ამერიკაში—121,713,000, ოკეანიაში — 7,500,400, ავსტრალიაში —

---

ჯრის წკრიალი; ამ დროს მას საზარელი შიში შეიპყრობდა ხოლმე და სიცილი, სიმღერა მთის ვარდისა ან ჭაბუკოსანთა სიმხნევე-სიმამაცისა ყელში ეყინებოდა. სიამაყე და ჯავრი გულს უსიებდა და განრისხებული ხმა-მაღლა ჰფიცავდა ხოლმე: დავთმობ ყველაფერს, რაც-კი ადამიანისათვის ძვირფასი არის ამ ქვეყნად, ოღონდ შურისძიების წყურვილი მოვიკლაო... და გარშემო მთანი, კლდეთა ნაპრალნი გუგუნით მწარე ბანს აძლევდნენ ხოლმე, თითქოს გლოვის ზარს ეუბნებიანო... და აგერ თითქოს ნინოც ისე ძალიან აღარ უყვარს, როგორც წინად... უთუოდ მთის ბოროტმა სულმა ჩაუქრო სიყვარული.

ასევე ემართებოდა თვით მასთან შეყრის დროსაც; ელიზბარი, ალერსისა და სიყვარულის ნაცვლად, მოხუცს თავადს წყევლა-კრულვით იხსენიებდა მუდამ. ნინოს ძალიან სწყინდა ეს, მაგრამ მაინც ვერ ჰბედავდა გაემჟღავნებინა, რომ იგი სწორედ იმისი ქალი იყო, ვისაც ელიზბარი თავისს სისხლის მსმელ მტრადა სთვლიდა... პირიქით, საყვარელ კაცის ზედგავლენით ნინო თითონაც ძალიან გულცივად ეკიდებოდა მამას. ქალები ყოველთვის ასეთები არიან, თუ ვინმე უყვართ: ყაჩაღ და ბოროტ ადამიანთან თვითონაც ასეთები ხდებიან და კეთილთან-კი—სათნო და წყნარები არიან. ნინოს ღმერთი და ხატი ძალიან სწამდა და ამისათვის წმ. ნინოს ჯვართან ხშირად ლოცულობდა ხოლმე; მიუხედავად ამისა ლოცვა ვერაფერს ხდებოდა. ბოლოს ნინოს ნელ-ნელა ეჭვი შეეპარა, რომ ელიზბარს იგი არ უყვარდა; მაგრამ სიამაყე საკმაოდ შესწევდა და ამ ეჭვს მხოლოდ ერთად-ერთს მოხუცს გამდელს უზიარებდა. გამდელი მუდამ ამშვიდებდა დ ეუბნებოდა: «გაჰბედავს განა, ჩემო ვარსკვლავო, და იტყვის, რომ შენ ლამაზი არა ხარ!..“ მაგრამ ეჭვი მაინც მოსვენებას არ აძლევდა, ნელ-ნელა დარდიანდებოდა, თან-და-თან ხდებოდა და ვარდისავითა ჭკნებოდა; მისი ელვარე და მშვენიერი თვალები თითქოს ჰქრებოდნენ; ფეხს სწორედ ველარ ადგამდა. მას ახლა უკვე თან დაჰყავდა ნაყოფი ელიზბარის სიყვარულისა.

თავადმა ეს ცვლილება ნინოს მაინც შენიშნა, თუმცა ისეთის ნაზისა და მოალერსე ხასიათისა არ იყო; მაგრამ ნინო ხომ მისი ერთად-ერთი ქალი იყო, რომლის სილამაზითაც თავი მუდამ მოსწონდა. მიზეზიც ეს იყო, რომ ბევრმა მეზობლად მცხოვრებმა თავადიშვილმა ითხოვა ნინო, მაგრამ ყველამ უარი მიიღო. „რა დაგემართა, ნინო?“ მკაცრად დაეკითხებოდა ხოლმე მამა... ნინო თავს იმითი მართლულობდა, რომ შეუძლოდა ვარო.

არავითარმა თავგასართობმა არ უშველა ნინოს. მამამ იგი ტფილისშიაც-კი ჩაიყვანა. აქ მათ მამადავითი ილოცეს და გავლით მცხეთაზე კვართი უფლისა. შემდეგ მეფის სასახლეშიაც წაიყვანა, როდესაც ერთს ნადიმზე თვითონაც მიწვეული იყო.

დიდებული სანახავი იყო მეფის სრა-სასახლე: იატაკი ძვირფასის ხალებით იყო მოფენილი, კედლები დახატული, ჭერი ჩუქურთმითა და შუშა-კენჭით მოჭედილი. ირგვლივ ორმოცი მაღალი ვერცხლის შანდალი იდგა, თვითეული მათგანი თორმეტ-თორმეტის ჭიქით, სადაც სუნნელოვანი ზეთი ენთო და მთელს დარბაზს საამო სუნს ჰფენდა, აჭახჭახებდა.

ამაღლებულს ამბიონზე, აბრეშუმის ფარდულას ქვეშ, რომელიც ოქროს სვეტებზედ იყო ჩამოშვებული, იჯდა თვით მეფე და მის გარშემო დარაჯნი და სასახლის კაცნი, ქვეყნის მმართველნი იდგნენ.

სტუმრები ძალიან ბევრნი იყვნენ და მათ შორის ბევრი ძალიან ლამაზიც, მაგრამ სილამაზით ნინოს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა.

ტანთ ამ ღამეს ნინოს გულ-ამოჭრილი მშვენიერი აბრეშუმის კაბა ეცვა და გულისპირად თხელი ფარჩა ჰქონდა, რომლის ქვეშაც ბროლივით თეთრი გულ-მკერდი მოსჩანდა. ზევიდამ განიერ სახლებინი და ოქროს ღილებიანი ქათიბი ეცვა; ნაპირებზე ძვირფასი წავის ტყავი ჰქონდა მოვლებული, გული მარგალიტით მოფენილი; ხოლო გულზე ოქროს ძეწკვით ჯვარი ეკიდა. პატარა და ლამაზს ფეხებზე ოქრომკედით მოქარგული წუღები ეცვა და შავს თმაზე თეთრის აბრეშუმის შალი ჰქონდა მოგდებული.

ნინომ თავისის სილამაზით ყველა მოჰხიბლა, მაგრამ თვითონ-კი ერთთავად მოწყენილი იყო; იჯდა თავისთვის ერთს კუთხეში და ხმას არავის სცემდა.

ამ საღამოს ირანისა და ინდოეთის ჯადოსანნი და მოთილისმენი თავისს საკვირველებას აჩვენებდნენ დამსწრე საზოგადოებას. ერთი ყურებიდამ ოქროს ფულს იღებდა, მთელს კვერცხსა და დიდრონს კაკლებს ჰყლაპავდა და შემდეგ ჯიბიდამ ამოიღებდა ხოლმე; მეორე-კი გველს ლერწმის ლულაში გააძვრენდა ხოლმე და წყალსა და სანთელზე მკითხაობდა; ინდოელები-კი, რომლებიც თავით დაიმარხებიან ხოლმე მიწაში, უცბად გაჰქრებოდნენ ხოლმე და შემდეგ პატარა კალათებიდამ ამოდიოდნენ; აჩვენებდნენ ფრინველს, რომელიც საუცხოვოდ ამბობდა: „მეფეს გაუმარჯოსო“ და მეფეც უწონებდა ამას.

შემდეგ ერთმა ვიღამაც საბა ორბელიანის წერილი წაიკითხა უცხოეთისა, დუკისა, დიდის დუკისა და ოქრის ქიმიის შესახებ... იტალიელი მოგზაურები და ბერები კიდევ მაღალს ტახტზე ისხდნენ და თავიანთებურს საკრავებზე უკრავდნენ; მაგრამ ეს სიმღერები ჩვენსას არ ჰგავდნენ... საბრალო ნინოს მაინც არაფერი არ ამხიარულებდა. სპარსეთის ელჩმა იკითხა კიდევაც: „ვინ არის იგი ანგელოსი? რადა სწუხს ნეტავ? ისარი გულს ძლიერად განმიწონა და, ვგონებ, თავრიზამდე ველარ მივაღწევ, დამწვავს უთუოდ მისი ცეცხლიო“! სასახლეში ამ ნადიმს, სხვათა შორის, ორი პოეტიც დაესწრო. ერთმა ამათგანმა შემდეგი ლექსი უძღვნა ნინოს:

ოხ, მითხართ ნეტა, ვისი არის ეს
ნაზი ვარდი?
რისთვის დამზრალა, რად სწვევია მას
მწუხარება
და თავი ძირსა დაუხრია, მთლად
მოღრუბლულა,
თითქოს ნაღველით იდუმალით გული ევსება?
იქნებ დაღლილა, დაქანცულა იმ
მოლოდინით,
როს თბილი ღამე მაისისა მიუალერსებს,
სწყურის, ბულბული ოდეს დასტვენს
გულ-მოსაკლავად
და თვისს სიმღერას ბედნიერსა მას
გააგონებს!..

ნინომ ახლა-კი ველარ მოითმინა და ცხარე ცრემლი გადმოჰყარა. თავადი საშინლად განრისხდა, ჩასჭიდა ხელი, წამოიყვანა და იმ ღამესვე სოფელში წავიდა. მოხუცს თავადს ახლა-კი ეჭვი შეეპარა. ელიზბარსაც, რომელსაც აგერ ორი კვირა იყო არ ენახა ნინო, კვლავ გაუღვიძდა სიყვარული; ეს-კი თითქოს მუდამ წინ უძღვის ხოლმე რომელსამე უბედურებას.

ინ-ანი.

(დასასრული იქმნება)

3,230,000 სულ ცოტა ნაკლებ 1,480 მილლიონი.

ერთს ინგლისელს მეცნიერს Schooling-ს ეს ცნობანი შეუმსია სხვა საყურადღებო ცნობებითა. მათ შორის მის მიერ გამორკვეულია, რომ ხსენებული რიცხვი დედამიწის მკვიდრთა ამ ზომით არიან სხვა-და-სხვა ადგილებშიო. მისის სიტყვით, 1000 კაცზე მკვიდრობს: აზიაში 558, ევროპაში —242, აფრიკაში—111, ამერიკაში—82, ოკეანიაში—5 და ავსტრალიაში—2.

თვითეული ნაწილი დედა-მიწისა რომ ერთმანეთს შევუფარდოთ სივრცის სიდიდით, გამოდის, რომ აზიას უჭირავს 17,044,000 ოთხ-კუთხე მილი *), ამერიკას—14,801,000 ოთხ-კუთხე მილი, ევროპას — 3,757,000, ავსტრალიას — 2,982, ოკეანიას—2,464.000, სულ მთელს დედა-მიწას—52,315,000 ოთხ-კუთხე მილი უჭირავს.

იმავე მეცნიერის სიტყვით, ყოველ წლივ ემატება დედა-მიწებზე მცხოვრებთ ასზე ხუთი სულიო. ესე რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ 2516 ან 2517 წელს იმოდენა მკვიდრი ეყოლება დედა-მიწას, რომ თითო სულზე დღიურზე ნაკლები მიწა შეხვდებათო. ამასთან იგი მეცნიერი ირწმუნება, რომ ასზე ხუთის სულის მატება წელიწადში იმაზე ნაკლებია, რაც მართლა ჰმატულობსო. (ნ. ვ.)

— როგორ უნდა ამოიღონ წითელ ღვინის დანაწვეთი სუფრიდამ და ხელთსახოცებიდამ (სალფეტკიდამ) აი ამისი ადვილი და იეფი წამალი თურმე, ახლად დაჩნეულს წითელ ღვინისას წმინდა ღორის ქონი წაუსვით და ამ სახით შეინახეთ მინამ გასარეცხად უბოძებდეთ. როცა რეცხვას შეუდგებიან ჯერ ცივ წყალში კარგად უნდა გაისაპნოს დაჩნეული მწვანე საპნით და მერე თბილ წყალში გაირეცხოს.

— ხის მებელს რომ ბრწყინვა და შნო მიეცეს, აი რა წამალი უნდა თურმე წაუსვან. უნდა აიღოთ მეოთხედი გირვანქისა კარგი ყვითელი წმინდა სანთელი, წვრილად დასჭრათ, ერთი ლ ო ტ ი მასტიკა, ანუ ორი ლოტი დაფხვნილი გუნდრუკი (კანიფოლი) მიუმატოთ (მასტიკა-კი სჯობია ყოველ შემთხვევაში), ყველა ეს უნდა მოაქციოთ თიხის ჰურჭელში, ქოთანში, შემოსდგათ ცეცხლზე. როცა ყოველივე ეს ცეცხლზე კარგად გადნება, ცეცხლიდამ უნდა გადმოიღოთ და ცოტ-ცოტად თანდათანობით და ერთბაშად ოთხი ლ ო ტ ი თბილი სკიპიდარი დაასხათ. მას მერმედ სულ ეს უნდა გადიღოთ ან თუნუქის (ჟესტის), ან ქვის ჰურჭელში და ისე შეინახოთ, მინამ მოგინდებათ სახმარად. როცა მოისურვებთ ხის მებელი გააბრწყინოთ და შნოი მისცეთ, მაშინ ცოტა უნდა ამოიღოთ ეს წამალი შალის რამე ნაჭერზე და იმით წაუსოთ მებელის ხესა. მებელის ხე ძალიან სწრაფად მიიღებს ლამაზს სანახაობას და თვალისათვის სასიამოვნო ბრწყინვას დაიწყებს. ამ რიგად წასმული მებელი ძალიან დიდხანს შეირჩენს თურმე სასიამოვნო ბრწყინვასა და შნოიან სანახაობასაო. (ნ. ვ.)

## ბიბლიოგრაფია.

### „ჯეჯილი" № 2.

„ჯეჯილი"-ს მეორე ნომერი დიდის ყურადღებით წავიკითხე. საზოგადოდ მასალა ძალიან კარგია და შერჩეული; ჩვენის აზრით, მეორე ნომერი პირველ ნომერს გაცილებით სჯობია. „მელიას ხრიკი" ი. ეწერლისა მშვენიერი საყმაწვილო ლექსია, როგორც ენით, აგრეთვე დედა-აზრით; კარგი ლექსია აგრეთვე დუტუ მეგრელის „დედა და შვილი". სასურველია, რომ ამგვარი ლექსები «ჯეჯილში» ბლომად იბეჭდებოდეს. თუმცა ჯეჯილის წინა ნომრებში ლექსები ყოველთვის იყო ხოლმე, მაგრამ მათ შორის ბევრი ისეთია, რომელსაც საყმაწვილო ჟურნალში თითქოს შეცდომით ამოუყვია თავიო; ისეთი პატარა ჟურნალში-კი, როგორიც ჯეჯილია, სასურველი არ არის იმგვარი მასალა, რომელიც ბავშვის ბუნებას არ შეეფერება. გ. ბ—ძის «მაროს თავგადასავალი"-ს შესახებ ქების მეტი არა გვეთქმის-რა. ამისთანა მშვენიერი საყმაწვილო მოთხრობა ჯეჯილში ძვირად გვინახავს. შინაარსი ისეთია, რომ ყმაწვილს ძალიან გაიტაცებს და გაართობს; ენაც ცოცხალია, მხოლოდ შიგა და შიგ თარგმანი კოჭლობს. ჩვენ ამაში გ. ბ—ძეს ვერ გავამტყუნებთ, რადგანაც თარგმანის დროს ადამიანს ხან-და-ხან ისეთი შეცდომები შეეპარება, რომლებსაც სხვა დროს ადვილად შეამჩნევდა. ამ ნაკლს ძალიან გამოცდილი მთარგმნელებიც-კი ვერ ასცდებიან ხოლმე; ვისაც შეუდარებია რომელიმე მწერლის თარგმანი მის რაიმე ორიგინალურ ნაწერთან, ადვილად შეამჩნევდა მათ შორის განსხვავებას. მაგრამ ამისთანა შეცდომები რედაქციას არასოდეს არ უნდა გამოეპაროს, განსაკუთრებით საყმაწვილო ჟურნალის რედაქციას. საბავშვო ჟურნალის მიზანი მარტო ის-კი არ არის, რომ ყმაწვილი გაართოს, არამედ ისიც, რომ ნამდვილი ქართული ენა შეასწავლოს. ყმაწვილი კითხვის დროს ლაპარაკსა და აზრების გამოხატვასაც სწავლობს და, თუ მასალა ენის მხრივ კოჭლობს, რასაკვირველია, პატარა მკითხველზედ ცუდ გავლენას იქონიებს; ენას დაუმახინჯებს და აზრების ყალბად გამოხატვას მიაჩვევს. ამიტომ რედაქცია მოვალეა, ყოველი მასალა თვითონ ყურადღებით გადაიკითხოს და ენა შეასწოროს ხოლმე. იასონ ნიკოლაიშვილის „ყვავილები" ძალიან კარგია, როგორც ენის მხრივ, აგრეთვე შინაარსითაც.

ან. წ—ს „თოლია"-ს შინაარსი მშვენიერია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს; მოთხრობაში რაც ხდება, საოცნებო იქნება თუ ჩვეულებრივი, თავის შესაფერ სინამდვილეს მოკლებული არ უნდა იყოს. «პეტრემ თითქოს იგრძნო, რომ ფეხ ქვეშ ნიადაგი ეცლება, რაღაც ფიქრები მოსდის თავში; თუმცა პეტრე გზას განაგრძობს, შიში ეპარება გულში"... მერე პეტრეს შიშის ოფლიც ასხამს: ...„მერე ეს ოფლი შიშისაგან ერთი ორად ემატება, რადგანაც ატყობს, რომ ყინული უტყდება"... ამის შემდეგ მან ცოტაოდენი მანძილი კიდევ გაიარა და მხოლოდ მაშინ ჩაუტყდა ყინული. ერთი მიბრძანეთ, ვინ სულელი იქნება, თუ თავის სიკვდილი არ უნდა, წინდაწინვე შეატყოს, ყინული ჩამიტყდებაო, და უკან არ გამობრუნდეს, როცა ეს შესაძლოა! როგორც მოთხრობიდამა სჩანს, პეტრე არც სულელი ყოფილა, არც თავის სიკვდილი სდომია, და მაშასადამე შეუძლებელია, რომ მას წინდაწინვე გაეგო, ყინული ჩამიტყდებაო, და არ გამობრუნებულიყო. თუ იმას იტყვით პეტრეს ეჩქარებოდაო, ტბა პატარა იყო და გარს შემოვლა, სულ ბევრი, ერთ საათს დააგვიანებდა. იქნება დარწმუნებული იყო, რომ თოლია უეჭველად გადაარჩენდა, მაგრამ უტკივარ თავს რომელი გადარეული აიტკივებს. ჩვენის აზრით, მოთხრობაში სრულებით გამოტოვებული უნდა იყოს, ვითომც პეტრემ წინდაწინვე გაიგო, რაც მოელოდა; ეს მხოლოდ პატარა მკითხველს გონებას დაუბნევს; ამის წაკითხვაზედ ბავში უთუოდ წამოიძახებს: ტყუილია, თორემ აკი წინდაწინვე გაიგო, რომ ყინული ჩატყდებოდა, უკან გამობრუნდებოდაო. პეტრეც საკვირველი კაცია, წყალში იხრჩობოდა და მაინც „რაღაც აზრები ერეოდენ თავში"; ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ დროს ადამიანს კიდევ რაიმე აზრებისათვის სცხელოდეს! თ. მთავრიშვილის „როგორ ქრის ქარი" არგია, როგორც სამეცნიერო წერილი, მაგრამ უფრო მოკლედ და ადვილი ენით უნდა შეაპაროთ ბავშვებს ამისთანა შინაარსის წერილები, თორემ მოსწყინდება და აღარ წაიკითხავს. გ. წ—ბელის „გაბრიელ ეპისკოპოსი" სწორედ მშვენიერი საყმაწვილო ბიოგრაფია არის. გაბრიელ ეპისკოპოსის მამულისადმი სამსახური მოკლედ და კარგად არის დახასიათებული, რაც ჩვენი ყმაწვილებისათვის ძალიან სასარგებლოა. სასურველია, გ. წ—ბელმა სხვა ჩვენი მოღვაწეებიც გააცნოს ხოლმე ბავშვებს «ჯეჯილში» და მხოლოდ იმისთანა უბედური შემთხვევით არ ისარგებლოს ხოლმე, როგორც ეხლა. ვლ. ალნიაშვილის „ვიქტორია-რეჟიას" მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ექმნებოდა, რომ ამ მცენარის სურათიც ყოფილიყო. უსურათოდ-კი მოზრდილისთვისაც ძნელი წარმოსადგენია, თორემ ბავშვი ხომ სულ ვერ გაიგებს. ამგვარ ცოტად თუ ბევრად ბოტანიკურ, აგრეთვე ზოოლოგიურ წერილებს მხოლოდ მაშინ აქვსთ ყმაწვილისათვის ორგვარი მნიშვნელობა—კითხვაში წახალისება და პატარ-პატარა ცოდნის შეძენა,—როდესაც სურათებია შიგ ჩართული. საზოგადოდ ჯეჯილის ერთი უდიდესი ნაკლი სურათების უქონლობაა. უნახატო წიგნს პატარა ყმაწვილი უგულოთა ჰკითხულობს. ყველას გამოცდილი ექნება, რომ ბავში როცა წიგნს იშოვის, ჯერ გადაფურცლავს, ნახატები არის თუ არაო; თუ ნახატები დაუხვდა, ყურადღებით წაიკითხავს, რადგანაც ყოველი ნახატი ბავშვის ცნობის მოყვარეობას იწვევს და გამოწვეულ ცნობის მოყვარეობას ბავშიც შინაარსის გაგებით იკმაყოფილებს. თუ იმედი გაუცრუვდა, მაშინ უმეტესს შემთხვევაში წიგნს ისევ დაჰკეცავს; ვისიმე ხათრით იქნება წაიკითხოს, მაგრამ ისე უგულოთაკი, რომ ამას იმისთვის არა ვითარი მნიშვნელობა არ ექნება, გარდა ვნებისა, რადგანაც, შესაძლოა, ბავშს კითხვა შეაძულოს. ალ. ბ-შვილის იგავი ,,ლორი და კრუხი'' ჩვეულებრივად მშვენიერია. ბესარიონის „თაგვების ჭკუა" კარგია, მაგრამ ამგვარი წვრილი მაგალითები. ჩემის აზრით, ას გვერდიან საყმაწვილო ჟურნალში შესაფერი „სასხვათაშორისოა", მაგრამ ორმოცდა ოთხმეტ გვერდიან ჟურნალში-კი (მე მხოლოდ დაბეჭდილ ვანგარიშობ) ამ გვარი მოკლე მაგალითებზედ უკეთეს მასალას უნდა დაეთმოს ალაგი, თუნდა იმავე დედა აზრისას. სულ პატარა ყმაწვილებისათვის „ორი და" ძალიან კარგია. სასურველია, რომ ამ გვარი მოკლე და ცოცხალი სურათები ყოველ ჟურნალში თითო-ოროლა მაინც იბეჭდებოდეს, მეტს-კი ვერ ვიტყვი, რადგანაც ჟურნალის სისქე არ მათქმევინებს. ქ. ბატონმა ანასტასიამ ჟურნალის რიცხვი ორჯერ გაამრავლა, მაგრამ ვაი თუ სისქეც ორჯერ შეამციროს. ქართველი მშობლები ქ-ბატონი ანასტასიასი დიდი მადლობელი უნდა იყვნენ ჟურნალის გაყოველთვიურებისათვის, მაგრამ ას გვერდამდე რომ მაინც აეყვანა, მეტს ჩვენც ვერ ვინატრებდით. მაშინ შიგ ბავშვებისათვის ექვსი წლიდამ დაწყებული თოთხმეტ-თუთხმეტ წლამდე განაწილდებოდა მასალა. თუ არ მოუმატა, წინანდელზედ რაღა ჩამოსათლელი იყო; ამის მიზეზია, რომ მასალა თვალს როგორღაც აჭრელებულად ეჩვენება: ვითომ ყველა წლოვანობისათვის არის და არც ერთისათვის-კი. თუმცა მოკლებული ბევრი არა აქვს, მაგრამ ყოველთვიურ ჟურნალში ერთ გვერდსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ჟურნალის წაკითხვას ყმაწვილმა, სულ ბევრი, ერთი კვირა მოანდომოს; სამი კვირა-კი პირ დაღებული უნდა იცადოს. ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ ეს ორი ნომერი დღენაკლული მხოლოდ შემთხვევით გამოვიდა, და სრული იმედი გვაქვს, რომ დანარჩენი ნომრები გაცილებით დიდი იქნებიან, ქ-ბატონი ანასტასია ამდენ გაჭირვებასთან ერთს კიდევ გაიჭირვებს და ჟურნალს, მეტი თუ არა, ოთხმოცდაათ—ას გვერდამდე მაინც აიყვანს.

Veritas.

*) მილი ვერსტ-ნახევარზე ცოტა მეტია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 მარტი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგში არიან ეხლა 27 გუბერნიის მარშალი. ესენი ღებულობენ მონაწილეობას იმ სხდომებში, რომელიც არის ხოლმე სათავად-აზნაურო სახლში. სხდომების თავმჯდომარედ არის გრაფი ბობრინსკი პეტერბურგის გუბერნიის მარშალი. 7 მარტს იგინი მიიპატიჟა სადილად შინაგან საქმეთა მინისტრმა.

7 მარტს გაირჩა საქმე „გრაჟდანინის" რედაქტორის თ. მეშჩერსკისა და ბბ. პოლოვცევებისა. მომრიგებელმა მოსამართლემ გარდაუწყვიტა პოლოვცევებს ორი კვირით დატუსაღება.

**პარისი.** პარლამენტში დარანბერგი თხოულობს დანგოლას ექსპედიციის საქმის გამორკვევას. „ინგლისი სულთანის დაუკითხავად განაგებს ეგვიპტის ფინანსებს", სთქვა მან. „ჩვენკი არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ადგილების მახლობლად, რომელნიც საშიშარს მდგომარეობაში არიან დერვიშების გამო ჩვენცა გვაქვს სამფლობელო». ბერტლომ უპასუხა, ინგლისმა მოითხოვა საფრანგეთის ნება-რთვა ეგვიპტის ფინანსების დასახარჯავად. ჩვენა გვგონია, რომ ამგვარი ნება-რთვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ყველა სახელმწიფოები დასთანხმდებიან. ამგვარ ექსპედიციას შეიძლება ის მოჰყვეს, რომ ჩვენის სამფლობელოის მახლობლად ფანატიკოსები აჯანყდნენ. ამასთან ექსპედიცია თუ ეხლა ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანის საქმე გაგრძელდება (ტაშის ცემა) ვსთხოვთ პარლამენტს ამ ჩვენის ახსნით დაკმაყოფილდეს, რადგან მთავრობათა შორის მოლაპარაკება არის ამ საქმის შესახებ (საერთო ტაშის ცემაა).

**რომი.** გერმანიის იმპერატორი მოვა გენუაში ინკოგნიტოდ და აქედამ გაემგზავრება ნეაპოლში. ეჭვი არ არის იმპ. ვილჰელმი და მეფე ჰუმბერტო ერთმანეთს ინახულებენ.

**ვენა.** ამბობენ, რომ იმპ. ვილჰელმი იტალიაში წასვლის დროს ვენაში შეივლისო.

მასსოვიდამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ დერვიშთა ლაშქარი კასსალის მიუახლოვდა ორი საათის სავალზე. იტალიელმა ქარავანმა, რომელიც კასსალაში მივიდა, როცა უკან დაბრუნდა 400 აქლემი წაიყვანა თან.

**ლონდონი.** ,,სტანდარდი'' ამბობს, რომ სამხედრო მთავრობას სჯა ჰქონდა სუაკიმში ინდოეთელი ჯარის გაგზავნის შესახებაო.

,,ტაიმს''-ის სიტყვით ლონდონში, პოლიტიკურ წრეებში 6 მარტს გავრცელდა ხმა, ვითომ იტალიელებს კასსალადამ ჯარები გამოეყვანოთ. გაზეთი ამბობს, რომ ეს ამბავი დასაჯერებელია და შენიშნავს: ეს შემთხვევა დიდ ცვლილებას მოახდენს იტალიის მდგომარეობაში, მაგრამ ეგვიპტეს საქმეზედაც სერიოზული გავლენა ექმნებაო.

,,ჩრდილო გერმანიის გაზეთმა'' ამ დღეებში ერთი ამბავი გადმოგვცა, რომლის გამო ,,ტაიმს''-ი ამბობს: ამ ამბავს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და არა ფინანსიური. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის ზოგაიერთი სახელმწიფო თანაგრძნობას უცხადებს ინგლისის მოქმედებას ეგვიპტის შესახებ. ამას დიდის სიამოვნებით ეგებება ინგლისი. ,,დაილი ხრონიკლი'' კითხულობს: «სამთა კავშირი» „ოთხთა კავშირად" ხომ არ გადაქცეულაო. ამ აზრის საფუძვლად ის მოჰყავს, რომ ავსტრიის იმპერატორმა სამხედრო ნიშანი უწყალობაო, გერმანიის მთავრობამ თანხმობა განუცხადა ეგვიპტის თანხის მოხმარებაზედ და კერზონმა ახსენა ძლიერი მოკავშირეო, და იტალიაზედ უჩვენაო.

**ქაირი.** დარწმუნებით ამბობენ, რომ იმ ინგლისის ჯარმა ეგვიპტეში, რომელიც უნდა წასულიყო სამხრეთში ადგილობრივი ჯარების ნაცვლად, უეცრად მიიღო ბრძანება, ნუ დაიძვრითო.


# განცხადებანი

ახალი წიგნები.

ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი გამოცემანი ზ. ჰიჰინაძისა:

ლუკმა პურის ამბავი, ანუ აღწერა კაცის აგებულებისა, თხზულება მასესი, თარგმანი ნ. ავალიშვილის მიერ. ფასი . . 60 კ.

ბავშვების მოვლა, კომბისა, თარგმანი ვასილი მაჩაბლის მიერ ფასი . . . . . . . . . . . 40 კ.

მაცისვიტია, რომანი ანტ. ფურცელაძისა ფასი . . . . 40 კ.

აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ზ.—ჭ—სა ფასი . . 15 კ.

ლექსნი თქმული მ. ბოჭორიძისა, ფასი . . . . . . . 5 კ.

10—5


Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Марта 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.